

გაფართოებული წვდომა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინოვაციურ სერვისებზე

ინიციატივა ხორციელდება ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ „მმართველობის რეფორმის ფონდის“ პროექტის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით

სასწავლო კურსი: ინფექციების პრევენცია და კონტროლი COVID-19 პანდემიის პირობებში

პოსტ-ტესტი

მსმენელის სახელი და გვარი: _____

თარიღი (დღე/თვე/წელი): _____

1. COVID-19-ის გამომწვევია

- ა. ბაქტერია
- ბ. პარაზიტი
- გ. უმარტივესი
- დ. ვირუსი

2. ყველაზე მაღალი სიკვდილობის მაჩვენებელი გააჩნია

- ა. COVID-19-ს
- ბ. SARS-CoV-ს
- გ. MERS-CoV-ს
- დ. სეზონური გრიპს

3. ხელების გამდინარე წყლითა და საპნით დაბანა რეკომენდებულია მინიმუმ

- ა. 10 წამის განმავლობაში
- ბ. 20 წამის განმავლობაში
- გ. 40 - 60 წამის განმავლობაში
- დ. 1 წუთის განმავლობაში

4. COVID-19-ის პრევენციისას ხელების სადეზინფექციო საშუალებაში სპირტის შემცველობა უნდა იყოს არანაკლებ

- ა. 40%
- ბ. 50%
- გ. 70%
- დ. 90%

5. იზოლაციურ-შემზღუდველი ღონისძიებები მიმართულია

- ა. ინფექციის წყაროს და გადაცემის გზების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნოზოკომიური ინფექციების სამკურნალოდ
- ბ. ინფექციის წყაროს, გადაცემის გზებისა და მექანიზმების საწინააღმდეგოდ, სხვა პირთა ინფიცირების რისკის შესამცირებლად
- გ. ნოზოკომიური ინფექციების პრევენციისათვის და სამკურნალოდ
- დ. სამედიცინო პერსონალის დაინფიცირების რისკის შესამცირებლად და სამკურნალოდ

6. COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტის ჰოსპიტალიზაციისას უნდა გამოვიყენოთ შემდეგი სახის იზოლაცია

- ა. ჰაეროვანი და კონტაქტური
- ბ. წვეთოვანი და ჰაეროვანი
- გ. წვეთოვანი და კონტაქტური
- დ. მხოლოდ კონტაქტური

7. კოჰორტული იზოლაციისას ერთ პალატაში შეიძლება განთავსდნენ COVID-19-ის

- ა. დადასტურებული შემთხვევები
- ბ. სავარაუდო და დადასტურებული შემთხვევები
- გ. შესაძლო და სავარაუდო შემთხვევები
- დ. შესაძლო შემთხვევები

8. COVID-19-ის მაღალი რისკის ზონაში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გახდის თანმიმდევრობა

- ა. გარე ხელთათმანის გახდა, წინსაფარის გახდა, ჩაჩის გადაწვევა, დამცავი სათვალის მოხსნა, კომბინზონის გახდა, შიდა ხელთათმანის გახდა, ახალი ხელთათმანის ჩაცმა, რესპირატორის მოხსნა, ახალი ხელთათმანის გახდა
- ბ. გარე ხელთათმანის გახდა, წინსაფარის გახდა, ჩაჩის გადაწვევა, კომბინზონის გახდა, შიდა ხელთათმანის გახდა, დამცავი სათვალის მოხსნა, ახალი ხელთათმანის ჩაცმა, რესპირატორის მოხსნა, ახალი ხელთათმანის გახდა
- გ. გარე ხელთათმანის გახდა, დამცავი სათვალის მოხსნა, წინსაფარის გახდა, ჩაჩის გადაწვევა, კომბინზონის გახდა, შიდა ხელთათმანის გახდა, ახალი ხელთათმანის ჩაცმა, რესპირატორის მოხსნა, ახალი ხელთათმანის გახდა
- დ. გარე ხელთათმანის გახდა, წინსაფარის გახდა, ჩაჩის გადაწვევა, კომბინზონის გახდა, შიდა ხელთათმანის გახდა, რესპირატორის მოხსნა, ახალი ხელთათმანის ჩაცმა, დამცავი სათვალის მოხსნა, ახალი ხელთათმანის გახდა

9. ნაკადურობის პრინციპი გულისხმობს

- ა. პროცესის მიმართვა სუფთადან ჭუჭყიანი ზონისკენ
- ბ. როცესის მიმართვა ჭუჭყიანიდან სუფთა ზონისკენ

10. ინფექციური ნარჩენების კონტეინერი უნდა იყოს

- ა. ყვითელი ან წითელი ფერის და გააჩნდეს ბიოუსაფრთხოების შესაბამისი ნიშანი
- ბ. ლუჯი ფერის და გააჩნდეს ბიოუსაფრთხოების შესაბამისი ნიშანი
- გ. შავი ფერის და არ გააჩნდეს არანაირი სპეციალური ნიშანი
- დ. თეთრი ფერის და გააჩნდეს ბიოუსაფრთხოების შესაბამისი ნიშანი

11. COVID_19-ის შესაძლო შემთხვევა:

- ა. პაციენტი მწვავე რესპირაციული ინფექციით (ცხელებით და ერთ-ერთი რესპირატორული სიმპტომით მაინც, მაგ. ხველა, სუნთქვის უკმარისობა) და არ უკავშირდება სხვა ეტიოლოგიას, რომელიც ახსნიდა კლინიკურ მანიფესტაციას და სიმპტომების დაწყებამდე 14 დღით ადრე, მოგზაურობდა ან ცხოვრობდა COVID-19-ის ლოკალური გავრცელების ზონაში;
- ბ. პაციენტი ნებისმიერი მწვავე რესპირაციული ინფექციით და სიმპტომების გაჩენამდე 14 დღის განმავლობაში კონტაქტი COVID-19-ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევასთან (იხ. კონტაქტის განსაზღვრება);
- გ. პაციენტი მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციით (ცხელებით და ერთ-ერთი რესპირატორული სიმპტომით მაინც, მაგ. ხველა, სუნთქვის უკმარისობა) და ჰოსპიტალიზაციის საჭიროება და არ უკავშირდება სხვა ეტიოლოგიას, რომელიც ახსნიდა კლინიკურ მანიფესტაციას.
- დ. ყველა პასუხი სწორია.